497/2 №16112

ფასი 50 მანეთი

# სოციალისტ-ფედერალისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღეს, თებერვლის 27, კვირას დილის 11 საათზე სოციალისტ--ფედერალისტთა დროებითი მთავარი კომიტეტი იწვევს საერთო პარტიულ კრებას პარტიულ ბიუროში. ყველა პროფესიის ამხანაგ მუშების დასწრება სავალდებულოა.**

## განცხადება

საგანგებო კომიტეტი ამით აცხადებს, ქ. ტფილისის მოვაჭრეთა საყურადღებოდ, რომ თებერვლის 26 ყველა სავაჭრო დაწესებულებანი უნდა მოქმედებდნენ ჩვეულებრივი წესით. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს მიეცემა პასუხისგებაში სამხედრო სარევოლუციო ტრიბუნალში.

**საგანგებო კომიტეტი.**

## მოქალაქეთა საყურადღებოდ

დროებითი რევოლუციონური კომიტეტი ჩაყოველთათ საყურადღებოთ აცხადებს, რომ ყველა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები ვალდებული არიან დარჩნენ თავიანთ ადგილებზე და შეასრულონ პირნათლათ მოვალეობანი. მოქალაქეებმა დაიცვან სრული წესრიგი და არ დაუშვან არავითარი არევ-დარევა ქალაქის ნორმალურ ცხოვრებაში პროფესიონალური კავშირების გამგეობათ. ...ებათ დაიცონ რევოლუციონური წესრიგი და განაგრძონ ჩვეულებრივი ...ანობა.

**დროებითი რევოლუციონური კომიტეტი.**

თბილისი 25 თებერვალი.

---

**ტფილისი თებერვლის 27**

...ართველი ერის პოლიტიკური ცხოვრება ახალ ნიადაგზე შედგა მშრომელთა ხალხის წინ იშლება ფართო ასპარეზი სახელმწიფოებრივ მუშაობაში ...ეშუალო მონაწილეობის მიღებისა პროლეტარული რევოლუციის ტალღებმა საქართველოს საზღვრებსაც მოაღწია ქართველი მშრომელი მასა მთელი თავისი შეგნებით უნდა დახვდეს ამ ისტორიულ ფაქტს და ჯეროვნად ...აფასოს იგი.

ქართველი მშრომელი ყოველთვის ...კიცე ნების მატარებელი იყო ასითი ...ნდა დარჩეს ის დღესაც და ეროვნულ ...ულტურის აღორძინების განვითარებასთან ერთად ჩაებას ფართო რევოლუციონურ მუშაობაში სოციალისტური ...ორილების განხორციელებლად.

ნურც ერთი მშრომელი ნუ იფიქრებს, რომ ქართული საქმე და ქართული კულტურა ერთი დღითაც, ერთი წუთითაც უნდა შეჩერდეს. პირიქით ფართო მასების წინ დღეს იშლება ყოველმხრივ ...ელსაყრელი პირობები ამ მუშაობაში და შემოქმედებაში პირ და პირ მონაწილეობას.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი მოუწოდებს თანამოაზრეებს და ყველა ქართველ მშრომელ მოქალაქეს არ დასტოვოს თავის სადარაჯო ამ ისტორიულ დროს და გაათკეცებული ენერგიით განაგრძოს მუშაობა სამშობლო ქვეყნის და მსოფლიო მშრომელთა საკეთილდღეოთ. არც ერთი დეზერტირი სამშობლოს სადარაჯოზე, არც ერთი მოღალატე საერთო საქმის. ტფილისი იყო და არის საქართველოს დედა-ქალაქი და იგი ამ სახით შედის დღეს მშრომელთა საერთო ოჯახში. ფედერალიზმის დროშა რუსეთის პროლეტარიატის მიერ აფრიალებული არ ეწინააღმდეგება, პირიქით მოითხოვს ეროვნულ თავისუფლებას და ქართველმა მშრომელმა გარკვევით უნდა გაიგოს, რომ ეროვნული თვითგამორკვევის საქმე სწორედ პროლეტარულ რევოლუციის მეოხებით ...დება მტკიცე საძირკველზე.

სოც. ფედ. დრ. მთავარი კომიტეტი ...თხველ კიდევ კიდევ მოუწოდებს მუშა-მოსამსახურეებს განაგრძონ თავისი მუშაობა, არ დასტოვონ თავისი თანამდებობანი ყველანი უნდა გამოცხადდენ თავისი ჩვეულებრივ სამუშაოზე და ერთი წუთითაც არ შეაფერხონ სახელმწიფო აპარატის მუშაობა გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლუციის გაფართოებას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!
გაუმარჯოს საქართველოს!

## მოწოდება

ამხანაგებო და მოქალაქენო! საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება მოექცა იმ ისტორიულ პროცესს, რომელსაც მეთაურობს რუსეთის რევოლუცია.

საქართველო დღეს გამოცხადებულია საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკად. ეს ისტორიული აქტი ძირითად უარყოფა და დამხობაა, მენშევიკური მთავრობის მიერ აგებული ბურჟუაზიული წყობილებისა.

საქართველოს წინაშე გადაშლილია სრულიად ახალი სოციალური პირობა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მუშაობისა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს თავისუფლება განმტკიცდება მხოლოდ მაშინ, როცა მთელი ცხოვრების სათავეში მოექცევა მუშათა კლასი და მშრომელი გლეხკაცობა. მუშათა და გლეხთა პოლიტიკა, გამაგრებული მუშების და გლეხების შვილის სოციალისტური ჯარის ძალებით, კავშირი საქართველოს მუშებისა მეზობელ ქვეყნების მუშებთან მისცემს საქართველოს სრულს გარანტიას თავის ეროვნულ და სოციალურ კულტურის აყვავებისას.

ჩვენ ვიცით, მძიმე და რთულს პირობებში უხდება მუშაობა და ცხოვრების ხელმძღვანელობა საქართველოს მშრომელ ხალხს, მაგრამ გადალახვა ამ მძიმე პირობებისა ერთად ერთი საწინდარია ჩვენი ერის სიცოცხლისა, თავისუფლებისა და სოციალიზმის განმტკიცებისა.

დაუღალავი მუშაობა, თავგანწირული ბრძოლა ამ ნიადაგზე!

ყველა თავის პოსტზე, დაუყონებლივ, მედგრად თავის მოვალეობის პირნათლად ასრულებისათვის.

ჩვენ გვჭირია დიდი სიმტკიცე ნებისყოფისა, უნდა დაირაზმოს ყოველი ცოცხალი ძალა და ჩავაბშოთ ყოველივე შური და დვარძლი როგორც ერებს შორის ის მოვსპოთ ყოველივე ექსცესი არსებული მდგომარეობის დასანგრევად გამოწვეული.

ომის მაგიერ ზავი და მყუდროება, დიდებითი შრომა ქონებრივი ავლადიდების შესაქმნელად, ყველა სამუშაო იარაღის და პირობების მშრომელი ხალხის ხელში გადასვლა და მთელი ამ სიმდიდრის საზოგადოდ გამოყენება, საწარმოვო ძალების აღდგენა, პოლიტიკური სიმტკიცე—აი რა უნდა იყოს ჩვენი უმთავრესი სწრაფვის მიზანი.

მსოფლიო პროლეტარიატის ჯალათი ანტანტა, პატარა ერების გაპარტახების და კოლონიების გაფართოებაზე აგებული წარმოადგენს რევოლუციის და მსოფლიო მშრომელთა სრულს მოსპობას და ყველამ უნდა იცოდეს, რომ ყოველივე შრომა მშრომელთა საკავშირო ფრონტის განმტკიცებისა მიგვაახლოვებს იმ საწადელ მიზანს, რომელსაც ერების და მშრომელთა საბოლოო თავისუფლება ჰქვიან.

საქართველო არ მომკვდარა, ის ახლა დგა სოციალისტურ წყობილების ნიადაგზე, უნდა გავამტკიცოთ და ჩამოვაყალიბოთ სოციალისტური წყობილება და უზრუნველვყოთ საქართველოს მშრომელ ხალხს: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკას, გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალიზმს.

## ქართველ ახალგაზრდობას

საქართველო დღეს ახალ ცხოვრებას იწყებს და მის სასიცოცხლო აპარატის დარაჯნი ქართველი სტუდენტობა, ქართველი ახალგაზრდობა უნდა იყოს, იმდენათ რამდენათაც შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა არ გასთელავს იმ წმინდა დროშას რომელსაც დღემდე ქართველი სტუდენტობა მისდევდა, და რომელზედაც მშრომელ კლასის სისხლის ასოებით ეწერა გამარჯვება სოციალიზმისა და შეკავშირებას. თავისუფალ საქართველოს ყველა სოციალისტურ რესპუბლიკებთან.

ჩვენ მუდამ გვწამდა თავისუფალი ფედერატიული საქართველო და დღესაც მთელი ჩვენი ენერგია და ძალა მიმართული უნდა იქნეს სოც.-ფედერალისტურ საქართველოს განმტკიცებისაკენ.

ჩვენი პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ერთად შეკავშირება საერთო საქმის გასაკეთებლად.

სოციალისტური საქართველო თავის ქართველურ სახეს ვერ დაჰკარგავს ვინაიდგან მე ღრმად მწამს ქართველი მშრომელი კლასი ჩვენი ახალგაზრდობა მჭიდროთ შეკავშირდება და ყოველგვარ დახმარებას გაუწევს საქართველოს სოციალისტურ მთავრობას მისი კულტურულ აღორძინების საქმეში.

გაუმარჯოს თავისუფალ სოციალისტურ საქართველოს.

**დათიკო პირველხელი.**

## მენშევიკების გაქცევის შემდეგ

ოცი და ოთხ თებერვალს ღამის თერთმეტ საათზე უკვე საყოველთაოდ იქნა ცნობილი, რომ მენშევიკური მთავრობა გარბის და დედა-ქალაქს სტოვებენ უპატრონოთ.

მცხოვრებთა წეს-რიგზე დამცველი აღარავინ სჩანდა.

სადგურზევე ლევან მეტრეველმა და პოლკო იაშვილმა გადასწყვიტეს, ვიდრე წითელი არმია მოვიდოდეს შეადგინონ წესრიგის კომიტეტი.

მოსძებნეს ძლივას ერთი დამალული ბოლშევიკიც გალაქტიონ ვაშაძე და ამ სამმა პირმა იდვეს თავზე მთელი მზრუნველობა, რომ ქალაქის მცხოვრებნი არ დაწიოკებულიყვნენ და საზოგადო დაწესებულებანი არ გაეძარცვულიყვნენ.

მრავალი დაბრკოლება გადაეღობა წინ ამ კომიტეტს. ტელეფონის სადგური მოშლილი იყო. ავტომობილები გაფუჭებული. მილიცია აღარ არსებობდა.

ყველაფერი ხელ და ხელ უნდა შექმნილიყო. უმისოდ გაიგებისას რომ დაიგებდა ათასნაირი ნაძირალა ქალაქის უპატრონობას, მიჰყოფდა ხელს ათასგვარ უწესრიგობას.

დიდის წვალებით შეკრებილ იქნა კადრი მილიციისა და ჯგუფ-ჯგუფად იგზავნებოდნენ სხვა და სხვა რაიონებში წესის დასაცავად.

კომიტეტმა თავის მოქმედების ადგილად აირჩია ქალაქის გამგეობა და იქიდან იძლეოდა ყოველ გვარი განკარგულება.

დაუყოვნებლივ იქნა დაპექტილი რამდენიმე ათასი მოწოდება მოქალაქეთადმი მათ დასამშვიდებლად.

სასწრაფოდ მოწყობილ იქნა დაცვა ყველა სამინისტროებისა, დამფუძნებელ კრებისა, ხაზინისა, ბანკებისა, სავაჭრო ყოფილებისა და სხვა.

ქალაქში ამ რიგად საუცხოო წესი არსებობდა, მხოლოდ ორ-სამ ადგილასა მოხდა დუქნების გატეხა, რომელიც ხელ და ხელ იქნა მოსპობილი.

მეორე დღეს თერთმეტ საათზე უკვე შესდგა ადგილობრივი რევკომი და წესრიგის დამცველი კომიტეტიც შეუერთდა მას მუშაობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მენშევიკებს თუ სახელმწიფო საქმეებში აკლდათ ყოველგვარი წინდახედულობა, თავიანთ უზრუნველყოფაში არაფერი დაჰვიწყებიათ.

მთელი სამინისტროები, ექსპედიცია, ხაზინა უპიდუროთ დაუცარიელებიათ. თვალზე მისაკრობი გროშიც კი არ დაუტოვიათ.

## ამინისტია

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მუშურ გლეხური მთავრობა უკუაგდებს რა შურის ძიების გრძნობას თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ, რომელნიც თითქმის სამი წლის განმავლობაში აწოებდნენ მშრომელთა მასების ყოველგვარ ცდას საბჭოთა მთავრობის დამყარებისაკენ მიმართულს და გააფრთხებით სდევნიდენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მთელი მანქანის საშვალებით მუშების და გლეხების კომუნისტურ პარტიას,—ადგენს: **გამოეცხადოს ამნისტია იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც აქტიურათ გამოდიოდენ წინააღმდეგ საბჭოთა ძალაუფლებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიისა.**

ამ ამნისტიის ძალით არც ერთი წევრი აღნიშნულ პარტიების,—არ უნდა იქნეს დაკავებული და დევნილი სასამართლოს თუ ადმინისტრატიული წესით ჩადენილ დანაშაულობათა და წარმოებულ ბრძოლის გამო წინააღმდეგ საბჭოთა ძალა უფლებისა და საქართველოს კომუნისტურ პარტიისა.

ეს დეკრეტი შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე.

**მამია ორახელაშვილი.**

**ქ. ტბილისი, 25 თებ. 1921 წელი.**

## ქართველი მასწავლებლის ხმა

საქართველოს ისტორიულ ფურცლებზე დღეს ახალი სტრიქონები იწერება. ქართველი ერი დღეს იწყებს ახალ ცხოვრებას და მასწავლებლობა, რომელიც ყველაზე უფრო დაინტერესებულია თავისი ხალხის მომავალი მდგომარეობით უნდა ჩაებას აქტიურად მუშაობაში. არც ერთი ინტელიგენტი ქართველი არ უნდა დარჩეს უბრალო მაყურებლის როლში, ეს იქნება ღალატი სამშობლოს წინაშე, რისთვისაც მოუწოდებ ყველა მასწავლებელს დარჩეს თავის ადგილზე და გაორკეცებული ენერგიით მოჰკიდოს მუშაობას ხელი. ჩვენ, მასწავლებლები, ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ საქართველოს სოციალისტური მთავრობა არ უარყოფს ხალხის ეროვნულად განვითარების იდეას და მისცემს საშუალებას ქართველ მასწავლებელს აღზარდოს სამშობლოს ღირსეული მამულიშვილები.

**გრ. ლ—ძე.**

## ახალი ამბები

— თბილისის დამცველ მთავარ კომიტეტში რევკომმა დანიშნა სოციალისტ-ფედერალისტ პარტიიდან გრ. ლორთქიფანიძე და ლ. მეტრეველი.

— თბილისის დროებით კომიტეტმა სასწავლებლების მეთვალყურეობა ჩააბარა გრ. ლორთქიფანიძეს და ალ. წერეთელს.

— დღეს, 27 თებერვალს, კვირას, დილის 11 საათზე სოციალისტ-ფედერალისტთა დროებითი მთავარი კომიტეტი იწვევს საერთო პარტიულ კრებას პარტიულ ბიუროში. ყველა პროფესიის ამხანაგ მუშების დასწრება სავალდებულოა.

— ორშაბათს, თებერვლის 28, შუადღის 12 ს. დანიშნულია საქ. მასწავლებელთა კავშირის საბჭოს სხდომა. წევრებს სთხოვენ აუცილებლად გამოცხადდენ.

— დროებითი მეჭდითი კავშირის დადგენილებანი. თებერვლის 26-ს მუშათა სასახლეში ამხ. ს. იაშვილის ინიციატივით შეიკრიბნენ რამდენიმე ძველი და ახლად შემდგარი მეჭდითა, კავშირის წევრები. კრების საგანი იყო უმთავრესად ის, როგორც იაშვილმა განმარტა, რადგანაც ჩვენში მოხდა პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლა და მენშევიკურ მთავრობის ადგილს იჭერს საქ. საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა და ამ ჟამად აწეწილია მდგომარეობა, რაიც ეკონომიურ გაჭირებაში აგდებს მუშებს. ამისთვის გამგეობამ იმსჯელა და დაადგინა: ყველა სტამბების მუშებმა განაგრძონ მუშაობა, ჩვეულებრივად, აგრეთვე იზრუნონ სამუშაოს მოწყობაზე, პურის მიწოდებაზე და სხვა. გამგეობა მოუწოდებს აგრეთვე ამხანაგებს დამშვიდებულნი იყვნენ და არავითარ აღელვებას ნუ ექნება ადგილი.

გამომცემი დროებითი მთავარ კომიტეტისა. რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.